იჯარის ხელშეკრულება	Lease Contract
ქ.თბილისი 26 იანვარი, 2018 წელი	Tbilisi January 26, 2018
ერთი მხრივ, სს „აიდეკო“203825682 (შემდგომში “მეიჯარე”) წარმოდგენილი მისი დირექტორის შოთა ქელდიშვილის სახით რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და მეორეს მხრივ **შპს დითიეს ლოჯისტიკ სერვისიზ ჯორჯია ს/კ 445519225** (შემდგომში „მოიჯარე“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლივიუ-ოქტავიან დრაგომირ, (პასპორტის/პირადობის ნომერი: 055172660/1690609131228) სახით, რომელიც მოქმედებს საზოგადოების წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ზემოთ აღნიშნული მხარეები- ვაღიარებთ და ვადასტურებთ, რომ გაგვაჩნია სრული და კანონიერი უფლებამოსილება იჯარის ხელშეკრულების გასაფორმებლად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების დასაუფლებლად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:	**JSC “IDECO” I.C.: 203825682** (hereinafter referred to as the “Lessor”), represented by Mrs. Shota Keldishvili, its Director, acting on the basis of the Charter of the company and the legislation of Georgia on the one hand and The **DTS Logistic Service Georgia LLC** I.C445519225 (hereinafter referred to as the “Lessee”) represented by its Director Liviu-Octavian Dragomir (passport/ID number: 055172660/1690609131228), acting on the basis of the Charter of the company and the legislation of Georgia The parties above – having acknowledged and confirmed that have the full and legitimate authority to execute this Lease Contract and acquire the rights and obligations envisaged in it – are executing the present contract on following:
მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი 1.1. მეიჯარე ხელშეკრულებით განსაზღვრული იჯარის ვადით დროებით სარგებლობაში გადასცემს მოიჯარეს მეიჯარის საკუთრებაში არსებული შენობის (მდებარე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი მ. ბროსეს ქ. #2-ში) სადარბაზო #4_ის 1 სართულზე **საოფისე ფართს N18** ფართით 59 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.15.04.005.037.01.02.018) და **1 (ერთი) ავტოსადგომს** და უზრუნველყოფს მოიჯარის მიერ გადაცემული ქონებით შეუფერხებელ სარგებლობას, ხოლო მოიჯარემ უნდა გადაუხადოს მეიჯარეს	**Article 1. Subject of the Contract** 1.1. The lessor shall give in lease for a temporary use its owned **office N18**, space of 59 square meters (cadastral code: 01.15.04.005.037.01.02.018) on the 1st floor of the 3d entrance of the building (2, Brosset str. Tbilisi, Georgia) and **1 (one) parking lot** and ensure the uninterrupted use of the tenancy by the lessee, while the lessee shall pay the lessor for the rent envisaged by the contract as well as other payables and fulfill the obligations in accordance with the contract.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა, ასევე უნდა განახორციელოს სხვა გადასახადები და შეასრულოს ვალდებულებები ხელშეკრულების შესაბამისად.	
მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების ხანგრძლივობა 2.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. 2.2. იჯარის **ვადა შეადგენს 12 (თორმეტი) თვეს** და მისი **ათვლა დაიწყება 2018 წლის 5 თებერვლიდან.** იმ შემთხვევაში თუ იჯარის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 1 თვით ადრე მხარეები არ განაცხადებენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, იგი ავტომატურად გაგრძელდება კიდევ 12 (თორმეტი) თვის ვადით მაგრამ არაუმეტეს ერთხელ. 2.3. იჯარის ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან. 2.4. იჯარის ვადის ამოუწურვის დროისათვის თარიღიდან 2 კალენდარული დღის ვადაში მოიჯარე ვალდებულია გამოანთავისუფლოს საოფისე ფართი და გადასცეს იგი მეიჯარეს. მოიჯარე ვალდებულია დააბრუნოს მის სარგებლობაში გადაცემული ქონება ბუნებრივი გამოყენებისა და ცვეთის გათვალისწინებით და ქონების დაბრუნების ფაქტი დადასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით; 2.5. თუ მოიჯარე იჯარის დასრულებისას გადააცილებს ქონების დაბრუნების 2.4 მუხლში გათვალისწინებულ ვადას, იგი ვალდებული იქნება გადაიხადოს იჯარის ვადის გასვლიდან ქონების ფაქტიურ გადაცემამდე გასული დროისათვის შესაბამისი საიჯარო ქირა.	**Article 2. Contract Period** 2.1. This contract shall enter into force on the date of its signing by the parties; 2.2. The lease **period shall be 12 (twelve) months** and its **calculation starts from February 5, 2018**. In case if the parties do not express their intention of terminating the contract in not later than one month before the contract expiry it (the contract) will be automatically extended for another twelve months period, but not more than once. 2.3. The expiration of the lease term does not relieve the parties from fulfilling their obligations. 2.4. The Lessee shall vacate the Property and deliver it to the Lessor within 2 calendar days from the date of the expiration of the contract period. The lessee shall be obliged to return the property transferred to it, taking into account the natural wear and tear; the fact of delivery the space shall be evidenced with the relevant Delivery-Acceptance Act; 2.5. In case if the lessee delays the period for returning the property specified in the article 2.4 above, it shall be obliged to pay the rental fee relevant to the period from the expiry of the lease period to the actual transfer of the property.
მუხლი 3. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი 3.1. საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს	**Article 3. Rental Fees and Rule of Settlement** 3.1. The amount of rent shall be **USD 1180.00 (onethousandandeighty) equivalent in GEL**

ყოველთვიურად 1180.00 (ერთიათასოთხმოცი) აშშ დოლარს (დღგ_ს ჩათვლით) ექვივალენტი ლარში. 3.2. მოიჯარის მიერ ყოველთვიური საიჯარო ქირის გადახდა იწარმოებს ყოველი საანგარიშო თვისათვის ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში. 3.3. საიჯარო ქირის გადახდა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მეიჯარის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. საიჯარო ქირა გადახდილი უნდა იქნეს მეიჯარის მიერ წარდგენილ ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული თანხის შესაბამისად, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების ან მოთხოვნის და ყოველგვარი დაქვითვების, ჩათვლებისა და შემხვედრი პრეტენზიების გარეშე. 3.3. მოიჯარე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა ავანსის სახით გადაიხადოს 2 (ორი) თვის საიჯარო ქირა 2360 (ორიათასსამასსამოცი)აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში** გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად, რომელიც გაქვითული იქნება იჯარის ვადის პირველი და ბოლო თვის საიჯარო ქირაში. 3.4. წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. პუნქტით დადგენილ ვადაში მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების (გადაუხდელი თანხის) 0,3% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 3.5. წინამდეაბრე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ საიჯარო ქირაში არ შედის ელექტროენერგიის, წყლის, დასუფთავების, ტელეფონის, ფაქსის და ინტერნეტით სარგებლობის	(including VAT) a month. 3.2. The lessee shall pay monthly rental fee within 5 (five) banking days after providing an invoice by the Lessor. 3.3. The rent payment shall be managed in non-cash settlement by transfer to the bank account indicated by the lessor in this contract. The rent shall be paid in in accordance with the amount specified in the invoice issued by the lessor, without any preliminary notice or request and without any deductions, set-off or counterclaims. 3.3. No later than 2 (two) working day after signing this present Agreement, **The Lessee shall pay the rent payment for 2 (two) months in amount of USD 2360 equivalent in GEL** calculated according to the official currency exchange rate fixed by National Bank of Georgia on the date of prepayment. This two month rent will be applied against rental charges of the first and the last month of lease period. 3.4. In case of failure from the part of the lessee to pay the rental fee specified in the paragraph 3.2 above it shall be fined in the amount of 0,3% of the non-fulfilled obligations for each overdue day; 3.5. The rent set forth in Clause 3.1 of this Agreement shall not include utility charges for electricity; water; charges for the latter; charges for the use of Internet, telephone and fax. The Lessee shall be registered as a temporary subscriber number in the offices of respective utility service providers and pay associated fees directly to the service providers. The lessor is liable to assist lessee to fulfill registration procedures and issue appropriate written consent (in case of necessity). **3.6 The rent fee includes charges for gas consumed for the heating of office and 1 (one) parking space. It also includes maintenance fee.**

გადასახადები. მოიჯარე ვალდებულია დარეგისტრირდეს დროებით აბონენტად შესაბამის კომუნალური მომსახურეობების მომწოდებლებთან და გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები უშუალოდ მომსახურეობის მომწოდებლებთან. მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს გაუწიოს დახმარება სარეგისტრაციო პროცედურების სრულყოფის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს შესაბამისი თანხმობები. **3.6. საიჯარო ქირაში შედის საოფისე ფართის გათბობისათვის მოხმარებული გაზის გადასახადი და ერთი პარკინგის ადგილის და მეინთენანსის გადასახადს.**	
მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი 4.1. მეიჯარე იღებს ვალდებულებას მოიჯარის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისათვის მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცეს ხელშეკრულების 1.1 მუხლით გათვალისწინებული საიჯარო ქონება. 4.2. მეიჯარე ვალდებულია მოიჯარისათვის დამატებითი გადასახადის გარეშე უზრუნველყოს საერთო სარგებლობის ფართის, ლიფტების, შენობის, გარე ტერიტორიის დასუფთავება, უსაფრთხოება და მოწესრიგებული ფუნქციონირება. 4.3. მოიჯარე იღებს ვალდებულებას, რომ საოფისე ფართის განახლების მიზნით წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. პუქნტით გათვალისწინებული ვადის დაწყებისათვის შეასრულებს მსუბუქ სარემონტო სამუშაოებს. 4.4. მოიჯარე ვალდებულია სათანადოს გაუფრთხილდეს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ქონებას. 4.5. მოიჯარეს უფლება არ აქვს არსებითად შეცვალოს საიჯარო ქონების (ოთახების, სველი წერტილების, დერეფნის) განლაგება. მოიჯარე ვალდებულია დაიცვას სახანძრო უსაფრთხოებისა და სანიტარიის ნორმები, ხელშეკრულების მოქმედების	**Article 4. Rights and Obligations of the Parties** 4.1. The lessor undertakes to deliver to the lessee for a temporary use the property envisaged by the paragraph 1.1 above for the period specified in this contract; 4.2. The lessor shall be obliged to ensure the cleaning, safety and proper operation of the spaces of common use, lifts, building, and external area without any additional payments to the lessee; 4.3. The lessor also undertakes to conduct repair works in order to renew office by the date indicated in paragraph 2.2 of this present agreement. 4.4. The lessee shall be obliged to take proper care of the property transferred to it for a temporary use; 4.5. The lessee shall not be entitled to substantially change the layout of the rental property (rooms, bathrooms, and corridor). The lessee shall be obliged to follow the fire safety and sanitation norms throughout the period of the contract; 4.6. The lessee shall be entitled to arrange the lease space at its discretion. In case of

მთელ პერიოდში. 4.6. მოიჯარეს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ და საჭიროებისამებრ მოაწყოს საიჯარო ფართი. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე უფლებამოსილია დაუბრკოლებლად, საიჯარო ფართის დაუზიანებლად გაიტანოს საიჯარო ფართში განთავსებული ინვენტარი, აპარატურა და მოწყობილობები. 4.7. მეიჯარემ უნდა უზრუნველყოს საიჯარო ფართში არსებული მოწყობილობების (მათ შორის გათბობის ქვაბისა და გათბობის სისტემის, ასევე კონდინცირების სისტემის გამართული მუშაობა, გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული მოწყობილობების გაუმართაობა გამოწვეული იქნება მოიჯარის მხრიდან არასწორი ექსპლუატაციით შედეგად მიყენებული ზიანით. ამ შემთხვევაში მოიჯარე ვალდებული იქნება თავად აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.	termination of the contract, the lessee shall have the right to remove the inventory, equipment and devices accommodated in the area without damaging the lease space. 4.7. The lessor must ensure the proper operation of the equipment in the lease area (including boiler and heating system, as well as conditioning system), except for the case when the malfunction of the equipment is caused by the improper operation from the part of the lessee. In this case, the lessee will be obliged to reimburse the damage.
მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა 5.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.	**Article 5. Responsibility of the Parties** 5.1 In case of non-fulfillment of the obligations under this contract, the parties shall be liable in accordance with the Georgian legislation.
მუხლი 6. ქონებასთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები მოიჯარე უფლებამოსილია დაამაგროს ქონებაზე შესაბამისი ნიშნები, სიმბოლოები, და განახორციელოს ქონებასთან მიმართებით საჭირო ცვლილებები იმგვარად, რომ მნიშვნელოვნად არ დააზიანოს მეიჯარის ბიზნეს საქმიანობა. სავალდებულოა მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობა, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ცვლილებები ზეგავლენას ახდენს ქონების გარეგნულ სახეზე (შენობის გარე ფასადზე). მეიჯარე, თავისი რაციონალური	**Article 6. Modifications to the Property** The lessee shall be entitled to fix the appropriate signs, symbols on the property and make the necessary changes to it in the manner that does not significantly damage the business of the lessor. Preliminary written consent of the lessor shall be obligatory if such changes affect the facade of the property (the exterior of the building). The lessor, at its rational discretion, shall be entitled not to give such permit.

შეხედულებისამებრ, უფლებამოსილია არ გასცეს ასეთი თანხმობა.	
მუხლი 7. ქონებით სარგებლობა 7.1 მოიჯარე გამოიყენებს ქონებას მხოლოდ მისი წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის, რომელიც არის საოფისე შენობასა და სხვა მოიჯარეებთან შეთავსებადი.	**Article 7. Use of the Property; sublease** 7.1 The lessee shall use the property only for the business envisaged by its Charter, provided that such business is suitable for the building and for other lessees.
მუხლი 8. უსაფრთხოება, დაშვების უფლება 8.1. მოიჯარეს შეუძლია დანერგოს ქონებასთან მიმართებით აუცილებელი უსაფრთხოების ზომები, როგორიცაა, დაშვების უფლების კონტროლი; მეიჯარე ითანამშრომლებს მოიჯარესთან და დაეხმარება მას ასეთი ზომების მიღებაში, თუმცა მოიჯარე არ იქნება ვალდებული, რომ გადაიხადოს ასეთი უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული ხარჯები. 8.2. მეიჯარე უზრუნველყოფს, რომ მოიჯარეს პერსონალს შეეძლოს ქონებაში შესვლა მოიჯრის მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ დროს.	**Article 8. Security. Access Right** 8.1. The lessee shall be entitled to implement the necessary security measures, such as the right to access control; the lessor shall cooperate with the lessee and help it to take such measures, although the lessee shall not be obliged to pay the costs associated with such security measures; 8.2. The lessor shall ensure that the lessee's staff can have the access to the property at any time requested by the lessee.
მუხლი 9. ფორს-მაჟორი მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, თუ ისინი გამოწვეულნი არიან დაუძლეველი ძალის შედეგად, კერძოდ, წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან სხვა ქმედებებით (ფორს-მაჟორული გარემოებები). ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს.	**Article 9. Force Majeure** The parties shall be exempted from the responsibility for incompliance with the contract obligations if such failure is caused by a force majeure, in particular by flooding, earthquake, fire, strike, military action, blockade, other acts issued by the government or its activities (force majeure circumstances); In the event of occurrence of the force majeure circumstances the parties shall immediately notify the other party about the mentioned in writing.

მუხლი10. იჯარის ხელშეკრულებისა და იჯარის ვალდებულებების შეწყვეტა 10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება 2.2. მუხლით დათვალისწინებული იჯარის ვადის გასვლით. 10.2. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს შემდეგი საფუძვლებით: 10.2.1. მეიჯარის მიერ, იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე არ იხდის საიჯარო ქირას მეიჯარის მიერ ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 2 (ორი) კვირის ვადაში, ან არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებებს (მაგ.კომუნალური გადასახადების გადაუხდელობა ან ქონების დაზიანება) მეიჯარის შეტყობინებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში. 10.2.2. მოიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განსაკუთრებული მიზეზის გარეშე (შეწყვეტის თარიღამდე) **1 თვით ადრე წერილობითი გაფრთილების** გაგზავნის გზით უარი თქვას იჯარაზე, იჯარის ხელშეკრულების ასეთი შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარის მიერ გადახდილი ბოლო თვის საიჯარო ქირა ჩათვლება, როგორც კომპენსაცია ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის. აღნიშნული არ იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე გადაინაცვლებს მიჯარის საკუთრებაში არსებულ სხვა საოფისე ფართში. 10.2.3. თუ ეს იჯარა შეწყდა ზემოთმოცემული 9 მუხლის შესაბამისად. 10.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება დასრულდეს ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.	**Article 10 Termination of Lease Contract and Lease Liabilities** 10.1. This contract shall be terminated upon the expiry of the period envisaged by the paragraph 2.2 above; 10.2. This contract may be terminated earlier on the following grounds: 10.2.1. By the lessor, if the lessee does not pay a rental fee within 2 (two) weeks from the day of the invoice issued by the lessor, or if the lessee fails to comply with the other obligations provided for in the contract (eg.: non-payment of utility bills or damage to property) within 2 (two) weeks from the day of the relevant notice of the lessor; 10.2.2. The lessee shall be entitled to refuse to pay the rent without any special reason (before termination) on the basis of a **one month earlier written notice;** in case of termination of the lease contract in such form the rent paid by the lessee for the last month shall be deemed to be the compensation for the earlier termination of the contract; if we move to another office space in same complex, it shouldn't be applied. 10.2.3. If the lease is terminated in accordance with article 9 above; 10.3. The contract may also be terminated by the agreement of the parties.
მუხლი 11. დავის მოგვარება	**Article 11. Settlement of the Dispute**

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან პრეტენზია, შეწყვეტა, გაუქმება ან უუნარობა ვერ გადაწყდა სხვა გზით, იგი მოგვარდება საქართველოს საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.	In case of failure to settle any dispute, disagreement, claim of any termination, invalidation or any incapability related to this contract, the case shall be settled by the courts of common jurisdiction of Georgia - in accordance with Georgian legislation.
მუხლი 12. წინამორბედი შეთანხმებები ეს ხელშეკრულება ცვლის ყველა მანამდე დადებულ წერილობით თუ სიტყვიერ შეთანხმებას მეიჯარესა და მოიჯარეს შორის და წარმოადგენს მათ შორის დადებულ სრულ შეთანხმებას.	**Article 12. Previous Agreements** This contract substitutes all previous written or verbal agreements between the lessee and the lessor and represents the full agreement between them.
მუხლი 13. შეტყობინება წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება და კორესპონდენცია გადაეგზავნებათ მხარეებს შემდეგ მისამართებზე: მეიჯარე: საქართველო, თბილისი, მ. ბროსეს ქ. #2 მოიჯარე: საქართველო, თბილისი, მ. ბროსეს ქ. #2	**Article 13. Notification** Any notification and correspondence relating to this contract shall be forwarded to the following addresses of the parties: Lessor: 2, Brosse str., Tbilisi, Georgia Lessee: 2, Brosse str., Tbilisi, Georgia
მუხლი 14. დასკვნითი დებულებები 14.1. ამ ხელშეკრულების დანართი #1 (მიღება-ჩაბარების აქტი) წარმოადგენეს ხელშეკრულების განუყოფელ და მატერიალურ ნაწილს და მათი განმარტება წარმოებს ხელშეკრულების დებულებებთან ერთობლიობაში. 14.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ყოველი მხარე მიიღებს თითო ეგზემპლარს. 14.3. ხელშეკრულების ორენოვან ვერსიას შორის ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენას.	**Article 14. Final Provisions** 14.1. Annex #1 (Delivery-Acceptance Act) of this contract represent its integral and material part and shall be interpreted in conjunction with the provisions of this contract; 14.2. The contract is drawn up in two equal copies, each copy for each party. 14.3. In case of any inconsistency between the bilingual versions of the agreement Georgian language version shall prevail.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

მეიჯარე/ The Lessor:
სს აიდეკო
JSC IDECO

Bank account: GE48 TB76 1453 6020 1000 01

დირექტორი/Director

შოთა ქელდიშვილი / Shota Keldishvili

Signed on 26/01/2018

მეიჯარე/ The Lessor:
შპს დითიეს ლოჯისტიკ სერვისიზ ჯორჯია
DTS Logistic Service Georgia LLC

Bank Account: GE22TB7071436080100008

დირექტორი/Director

ლივიუ-ოქტავიან დრაგომირ/Liviu Octavian Dragomir

Signed on 29/01/2018